

უპრეცედენტო აქცია საქართველოში – მილიონიანი ბათამაშება

გახდი მილიონერი თიბისი ბანკთან ერთად

პრესრელიზი

თბილისი, 31 იანვარი, 2008 წელი – თიბისი ბანკი ანაბრების უპრეცედენტო და ყველაზე მასშტაბური აქციას იწყებს: ბანკის მენაბრებს მიეცემათ უნიკალური შანსი, მოიგონ **აპრომოგილი** ან გახდნენ საქართველოში ყველაზე დიდი პრიზის, **1 მილიონი ლარის** მფლობელი.

აქცია 2008 წლის 16 თებერვლიდან 16 დეკემბრამდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობის და პრიზის მოგების შანსი მიეცემა ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც 16 თებერვლიდან 16 დეკემბრამდე თიბისი ბანკში გახსნის ანაბარს. აქციის მსვლელობისას თიბისი ბანკი ყოველთვიურად გაათამაშებს ახალ ავტომობილს, ხოლო აქციის ბოლოს, 31 დეკემბერს გაათამაშდება მთავარი პრიზი – 1 მილიონი ლარი.

უპრეცედენტო გათამაშების აქცია შეეხება თიბისი ბანკის 3 ტიპის ანაბარს: ვადიანი ანაბარი, „ვადიანი +“ ანაბარი და ანაბარი „ჩემი სეიფი“. ყველა კერძო პირი, რომელიც 16 თებერვლიდან 16 დეკემბრამდე, მინიმუმ სამი თვის ვადით და მინიმუმ 2000 ლარის ოდენობის თანხით გახსნის თიბისი ბანკში ანაბარს, ავტომატურად ჩაერთვება აქციაში.

რაც უფრო მეტი ვადით მოხდება ანაბრის გახსნა (მაგ. 12 თვე და ზემოთ), მით მეტი შანსი მიეცემა მენაბრეს მოიგოს პრიზი.

პრიზების გათამაშება თვეში ერთხელ, სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი-2“-ის პირდაპირი სატელევიზიო ეთერით მოხდება ყოველი თვის ბოლო შაბათს, “კურიერი პოსტსკრიპტუმის” დასრულებისთანავე.

ახალი წლის დადგომას კი თიბისი ბანკის ერთ-ერთი, იღბლიანი მენაბრე მილიონერის სტატუსით შეხვდება.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გაცვდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.